ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1046398

ნომერი: AR1180774

თარიღი : 27.11.2013

გაცემის თარიღი : 17.12.2013

გაცნობის თარიღი : 18.12.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , N 4-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნანა წურწუმია პ/ნ 19001000330
- გალი ს. აჩიგვარა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 27 ნოემბერს #AR1180774 განხცადებით მომართა ნანა წურწუმიამ და მოითხოვა ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის18 ივნისის #03/612 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ, დამკვეთად, შპს „ჯი–თი–ეს ლადა–ვაზის“ ნაცვლად, შპს „ჯეო ავტო 1–ის“ დაფიქსირება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 18 ივნისის #03/612 ბრძანებით შეთანხმდა ქ.თბილისში, ვაკე–საბურთალოს რაიონში, დ.აღმაშენებლის ხეივანი #4–ში, შპს „ჯი–თი–ეს ლადა–ვაზის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე 14.04.05წ. #20/138 ბრძანებით შეთანხმებული ავტომობილების სარეალიზაციო და საგარანტიო მომსახურების ცენტრის კორექტირებული (სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტის გათვალისწინებით) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადად განისაზღვრა 2007 წლის 01 ივლისიდან 2008 წლის 01 ივლისამდე. შესაბამისად, დღეისათვის აქტი ნებართვის ნაწილში ძალადაკარგულია.

საჯარო რეესტრის ამონაწერში (რეგისტრაციის #882013408600; მომზადების თარიღი: 26/08/2013წ. საკადასტრო კოდი #01.72.14.034.483), მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ მითითებულია შპს „ჯეო ავტო 1.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების დადგენილების მე–20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით და ვინაიდან, დღეის მდგომარეობით ზემოაღნიშნული ბრძანება მშენებლობის ნებართვის გაცემის ნაწილში, ნებართვის მოქმედების ვადის გასვლის გამო, წარმოადგენს ძალადაკარგულ აქტს და ამასთან, პროექტის შეთანხმების სტადიაზე ნებართვის გამცემი ორგანო არ იკვლევს სამშენებლო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებას (მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე დამკვეთს წარმოადგენს განმცხადებელი), სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას, დამკვეთის შეცვლასთან დაკავშირებით, ცვლილება შეიტანოს არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანებაში. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამსახური ადასტურებს, რომ შპს „ჯეო ავტო 1–ის“ საკუთრებაში არსებული ქონების სამშენებლოდ განვითარების შემთხვევაში, დამკვეთად შესაძლებელია დაფიქსირდეს შპს „ჯეო ავტო 1“.